საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 278/ს
24/08/2022

278-21-4-202208241821

შუახევის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩირუხისწყალზე შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ 5,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჩირუხი ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შუახევის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩირუხისწყალზე შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ 5,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჩირუხი ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 50;
2. შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 50 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო